ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

XIII 2021

პიროვნების ემანსიპაციის საკითხი ბარბარე ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივი აზროვნების ჭრილში

The issue of personality emancipation of Barbare Jorjadze in the context of worldview thinking

მარიამ სულხანიშვილი
დუზჯეს უნივერსიტეტი
თურქეთი, დუზჯე

Mariam Sulkhanishvili
Duzje University
Turkey, Duzce

ABSTRACT

The interrelationship between women and men, which is presented by Georgian writers in fiction, is considered by us as a driving force and factor in the emancipation of the individual. Our reasoning concerns our point of view and we have also chosen the material appropriate for the interpretation of our own views. Our opinion, in general, on the nature of national literature and its main factors, is based on the thoughts of Georgian classics in this direction. We believe that the examples we have discussed speak to national values, and in this respect, Georgian literature is very interesting.

We present the three most important factors from the national literature. The theme of pure love in Konstantine Gamsakhurdia's worldview thinking implies the inner, spiritual deification of man, woman, and man. We believe that his generalized face is a natural phenomenon for the Georgian reality, and his ideological imagination in artistic creation is an irreplaceable paradigm of every time, which fulfills the didactic direction, in terms of the emancipation of the person.

The second example concerns the manifestation of the free nature of a woman's inner nature, an incomparable example of which was given to us by Vazha-Pshavela. Aghaza's original, free inner world is a truly irreplaceable paradigm of an emancipated woman, in the formation of which an active role belongs to a Georgian man.

The third topic reveals in a very original way the natural state of the Georgian man, and his inner character, which from our point of view we still consider in general, as one of the most important factorscharacteristics of the national literature. This is where the inner goal and strength of a Georgian person unfold. Man is inwardly mystical with the God-human beginning. Of course, all three moments are our natural state, which in no way detracts from the sense of reality.

Against the background of these discussions, by which we interpret the nature of Georgian literature in general, we see the goal of the inner spiritual set of Georgian women and men towards a common idea. This idea is a sacred idea, strictly adhered to by moral and ethical laws. Against this background, Barbare Jorjadze's artistic vision contradicts and deviates from the common goal.

The tragic scene in the novel „Mariam" is unacceptable for us personally, because it does not correspond to the natural state of a Georgian woman. The didactic character of Georgian literature is revealed in the spiritual unity of the man with the god-human beginning, and in the woman - in his divinity.

It is difficult to morally support a woman who has cleverly, cleverly killed a person, even an enemy of her own homeland. We think this is a writer's childish fantasy.

Barbare Jorjadze feels and revives the Amazons in her inner world with an atavistic feeling. Of course, when discussing the nature of the worldview credo of Georgian literature, such paradigms would be unacceptable. Such is our vision.

საკვანძო სიტყვები: პიროვნების ემანსიპაცია, ბარბარე ჯორჯაძე, ქალის ფენომენი.

Keywords: Emancipation of personality, Barbare Jorjadze, Phenomenon of woman.

პიროვნების ემანსიპაცია კაცობრიობის თანმდევი პროცესია. უპირველესად იგი პიროვნების ინდივიდუალიზაციას გულისხმობს, რომელიც შინაგანი თავისუფლების პულსაციით ხასიათდება. პიროვ-ნებისთვის თავისუფლების მიღწევა შინაგან სამყაროში მიმდინარე რთული სულიერი პროცესია და კონკრეტულ მოცემულობაში დომინანტი როლის შემსრულებელი მისივე გონებრივი პოტენციალია, რომელიც გადაჯაჭვულია ადამიანის სულთან. პიროვნების მხრიდან ემანსიპაციის გამოვლინების მოთხოვნა ხდება სამართლებრივ, სოციალურ თუ პოლიტიკურ ჭრილში, ხოლო ჩვენი საუკუნის გლობალური დაინტერესება განსაკუთრებულად ქალისა და მამაკაცის უფლებების გათანაბრებამ გამოიწვია. ვფიქრობთ, ეს მეტად საინტერესო თემატიკაა თავისი მრავალმხრივი ასპექტებით. საპირისპირო სქესთა შორის ურთიერთობებისა და დამოკიდებულებების

ფორმაციათა ცვლა ორგანულ კავშირშია, ზოგადად, პიროვნების ემანსიპაციასთან, რომელიც, ჩვენი აზრით, უშუალოდ განაპირობებს ამ პროცესებს და ამიტომაც მიგვაჩნია, რომ მასზე მსჯელობა მასთან მიმართებით განიხილება.

რაც შეეხება ბარბარე ჯორჯაძის პიროვნებას, იგი ერთგვარ პროგრესულად მოაზროვნე ქალბატონად გახლავთ წარმოდგენილი მეცხრამეტე საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში. ის ქალთა უფლებების დამცველადაც კი მოიაზრებოდა იმ დროში და მისმა პერსონამ ერთგვარი სიმბოლური სახეც კი შეინარჩუნა დღემდე ამ სტატუსით. ბარბარე ჯორჯაძე ინდივიდუალიზმის თავისუფალი გამოვლინების პარადიგმაა იმ თამამი და გაბედული ნაბიჯების გამო, რომელმაც ის, როგორც პიროვნება, საზოგადოებრივი ცხოვრების საბრძოლო ასპარეზზე გამოიყვანა მეტად რთულ და საინტერესო ეპოქაში. ზოგადად, ქართულ სინამდვილეში, ქართველი ქალიც და მამაკაციც ყოველთვის თავდაუზოგავად იბრძოდნენ საქართველოს თავისუფლებისთვის და ისინი საკუთარ სიცოცხლესაც არ ამადლიდნენ ამ დიად იდეას. მეცხრამეტე საუკუნეში ბარბარე ჯორჯაძეც აქტიურად ერთვება ამ ბრძოლაში და აცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს საქართველოს თავისუფლების საქმეში. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მის მიერ მხატვრულ სამყაროში შექმნილ იმ საინტერესო დეტალებზე, რომლებმაც ქართველი ქალი განსხვავებულ ამპლუაში წარმოგვიდგინა. მწერლის მსოფლმხედველობრივი კრედო ქართველი ქალის თავისებურ გაგებას ემყარება, თუმცა რამდენად მისაღებსა თუ მიუღებელს ქართული აზროვნებისთვის, ეს კიდევ სულ სხვა განსახილველი საკითხია. ერთი რამ აუცილებლად შესამჩნევი ფაქტია, რომ ბარბარე ჯორჯაძე ერთგვარი „თამამი რაინდის“ როლშია წარმოდგენილი საკუთარ ფანტაზიებში. ვიდრე დეტალების დახასიათებაზე გადავალთ, დასახელებული თემის ზოგადი განხილვის კუთხით გვსურს ქართული მწერლობიდან სამიოდე მაგალითის მოხმობა. ვფიქრობთ, მათი განზოგადება ჩვენს სათქმელს უფრო ნათელს გახდის და წარმოაჩენს ქართული მწერლობის სპეციფიკას ზოგადად, თუ როგორ ვლინდება სქესთა შორის ურთიერთობები ქართველ მწერალთა მენტალურ წარმოსახვაში. ჩვენი აზრით, მათი დიდაქტიკური ზეგავლენა ზრდის და აყალიბებს ზოგადად ადამიანის პიროვნებას და, შესაბამისად, ეს ურთიერთობები განაპირობებენ პიროვნების ემანსიპაციის რთულ პროცესებს ქალშიც და მამაკაცშიც, მათივე სულიერი და მენტალური ზრდის კვალობაზე.

ქალისა და მამაკაცის პიროვნული ურთიერთობის ტრადიციულ ჭრილში განხილვისას ხაზგასმით შევნიშნავთ, რომ მამაკაცი და მისი ფუნქციური დატვირთვა უფრო განსჯით, გონებრივ უნარებს ეფუძნება, ხოლო ქალი ემოციურია, მგრძნობიარეა და, შესაბამისად, სხეულიც ნატიფი აქვს. ამაშია მისი ხიბლი. ჩვენი აზრით, იგი ყოველთვის სიყვარულის გამომწვევ ობიექტად დარჩება სქესთა ბრძოლაში. ამ ორი საწყისის შერწყმა

ქმნის მთელობის განცდას და ამგვარ სრულყოფილებაში სწრაფვისას თავისთავად იძერწება და ვლინდება ადამიანის პიროვნება იმ გაგებით, რომ მამაკაცი ქმნის ქალს და ქალი „შობს“ მამაკაცს ზუსტად ისეთს, როგორც მას ეს სურს. ეს ტრადიციული წარმოდგენა, მათი მიწიერი სხეულებით გამოხატული განსხვავებული ფიზიოგნომიკა ადაპტირებულია სულიერ პლანში. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უშუალოდ უკავშირდება ადამიანის პიროვნების ემანსიპაციას. ემანსიპირებული პიროვნება კი თავისებური სპეციფიკური ნიშნით აყალიბებს საპირისპირო სქესთა შორის ურთიერთობებს. ეროვნული ფაქტორი და დრო ის ატრიბუტებია, რომლებიც ყოველთვის დარჩება მათი ხასიათების უშუალო მსაზღვრელად.

ქართველი ქალის გარეგნული სახისმეტყველების შესახებაც გვსურს შევნიშნოთ ორიოდე სიტყვით, რომ ძველი ბერძნული სკულპტურული ხელოვნება კოლხი ქალების სახის გამომეტყველების მიხედვით იქმნებოდა, რომელიც მისტიური სპეციფიკით ხასიათდება. ყოველივე ეს მომდინარეობდა ადამიანის სულიდან, რომელიც პიროვნების ცნობიერებას უშუალოდ განაგებდა. სულის იდუმალება გარეგნულ ფაქტორებზე მუშაობდა. უძველესი კოლხური მისტერიებიდან აღმოცენებული მითები სულიერ გზებზე გვესაუბრებიან, რომელთა წარმოშობას ადამიანის შინაგანი თავისუფლება განაპირობებდა. ეს პროცესები შემდგომში, უკვე ისტორიულ რეალობაში, პიროვნების მიერ თვითდათმობის, მსხვერპლისუნარიანობის უდიდეს პოტენციალში ყალიბდებოდა. ამაღლებული იდეისადმი საკუთარი თავის მსხვერპლად მიძღვნა უწყვეტად ქმნიდა კავკასიური რასის პროფილს. ეს გახლდათ საერთო, თანაბრად აქტიური მებრძოლი სულისკვეთების გამოვლინება როგორც მამაკაცში, ასევე ქალში. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ეს დამოკიდებულებები უკვე ტრადიციად იყო გადაქცეული და ცალსახად წარმოადგენდა ინსპირაციის წყაროს პიროვნების ემანსიპაციაში. ქართველი ქალბატონის, საზოგადო მოღვაწის ბარბარე ჯორჯაძის სახისმეტყველებაც, ჩიხტიკოპით და ქართული ტრადიციული სამოსით შემკული მეცხრამეტე საუკუნის ისტორიულ ნიშაში, გამოხატავდა სულიერი თავისუფლებისა და თვითდამკვიდრებისათვის მებრძოლის შეუდარებელ სახეს ქალურ ამპლუაში.

ქალურ ასპექტში ქართული ხასიათის თვითგამოვლინების შესახებ ღრმად დაფიქრებული მეცნიერი მიხეილ თარხნიშვილი ეძიებდა წმინდა ნინოს ლეგენდის შექმნის საიდუმლოს და ლეგენდის რეალურობამდე მივიდა: „ახლა ვიცით, სად უნდა ვეძიოთ ნინოს ლეგენდის საფუძველი: არა მოსე ხორენელთან, არამედ ქართველი ერის ისტორიისა და რელიგიურ-ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში“, – წერდა მეცნიერი. ჩვენის მხრივ კი შევნიშნავთ, რომ ანალოგიურად გაიაზრება წმინდა გიორგის კულტიც. უდავოა, რომ ქართველთა თვითშეგნება სულიერ პლანში რელიგიურ სიწმინდეს ემსახურებოდა ოდითგანვე. ეს

მომენტები ბუნებრივად აისახებოდა ეროვნულ მწერლობაზე. ქართველი მწერლები მხატვრული ფანტაზიებით ინდივიდუალურ სპექტრში ახდენდნენ უძველესი მისტერიებიდან მომდინარე მითოსური სახეების მეტამორფოზას. ისინი შემოქმედებით ქმნიდნენ ახალ მითოსებს და მხატვრული სახისმეტყველებით თავადვე უკეთებდნენ ინტერპრეტაციას საკუთარ სულიერ სამყაროს. ქართული ტრადიციის თანახმად, როდესაც საუკუნეების წიაღში ქალს მზითვად „ვეფხისტყაოსანს“ ატანდნენ, ცხადი ხდება ერის უშუალო დამოკიდებულება სულიერი განსწავლულობისადმი. ამ შემთხვევაში ჩვენ ხაზს ვუსვამთ შოთა რუსთაველის პიროვნებას, როგორც სულიერ ადეპტს, რომელიც ერს აღმზრდელად ევლინება შუა საუკუნეებში. მის მიერ მოცემული ინიციაციის დოქტრინები ადამიანის შინაგან თავისუფლებაზეა ორიენტირებული და შესაბამისია განცდაც, ქართულ სინამდვილეში: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

მწერლობის დიდაქტიკური ხასიათი, როგორც სულიერი ინიციაციის გზის მაჩვენებლის, კონსტანტინე გამსახურდიასთან მეტად ორიგინალურ სახეს იღებს. მწერლისეული მხატვრული წარმოსახვიდან ჩვენთვის მეტად საინტერესოა მამაკაცისა და ქალის ურთიერთსიყვარულის შეუდარებელი ნიმუშები. სცენა სიყვარულის ისტორიის დასასრულისა ასეთია: ორი მოსიყვარულე სულიდან ერთი კვდება, მეორე თავს იკლავს. ამ ტრაგედიის განცდაც თავისთავად მწერლის სულიერ სამყაროში ხდება. სიყვარული არამიწიერი გაგებით ხასიათდება: „ამიტომაც უფრო ადრე მიყვარდი, ვიდრე შევიცნობდი, თუ რა იყო ქალი და კაცი“, – ამბობს მისი რომანის გმირი. მის წარმოდგენაში ქალი და მამაკაცი სულიერი ინტიმისთვის არიან შექმნილნი, სადაც ერთმანეთის შეცნობა წარმოშობს სიყვარულს. მისი რომანის გმირებს თუ დავუკვირდებით, თითოეული თითქოსდა გამიზნულად მიისწრაფვის სიკვდილისაკენ, საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვის გზას გადიან ერთმანეთისადმი ტრფობისას და ამით ისინი ზიარნი არიან მიღმა, სულიერ სამყაროსთან. მწერლის ეს სიტყვებიც ამგვარ სენტენციად ყალიბდება: „მას დაუმკვიდრებია სიყვარული სამარადჟამოდ, ვისაც სიკვდილის საფასით შეუსყიდნია იგი“. სიყვარულის საზომი მსხვერპლის უნარიანობის სიდიდით ფასდება და ამგვარი ზვარაკი ზრდის და აყალიბებს პიროვნების შინაგან სულიერ წყობას, ანიჭებს მას თავისუფლების განცდას და პიროვნების არსებობის მარადიულობას. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ქართველი ქალის მზრდელი ძალა ქართველ მამაკაცშია ჩადებული და, პირიქით, ქალია თავად შემოქმედი ძალა ქართველი მამაკაცის სულიერებისა. სული კი, ზოგადად, შემოქმედებით პროცესშია უნივერსალურ იდეასთან: „მე ჩემი ხელოვნება სიცოცხლეზე მეტად შემყვარებია, ჩემო, ამიტომაც განწირული მაქვს თავი“. სულის ამგვარი მარტივილობა ქმნის მზისშვილობის განცდას პიროვნების ემანსიპაციაში, რომელიც ერთგვარ ინიციაციის დოქტრინას წარმოადგენს სულიერი ადეპტისათვის. ეს უკანასკნელი კი როდი გახლდათ უცხო ქართული სინამდვილისთვის. პირიქით, ამ იდეას ემსახურებოდა ყოველთვის დიდი და ფასეული ქართული მხატვრული ლიტერატურის

არსებობა საქართველოში. საგულისხმოა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი იდეა ამოზრდილია ქართული ხალხური „ეთერიანიდან“, რომელიც საუკეთესოდ ადასტურებს იმას, რომ მსგავსი ტენდენცია სულიერ ასპექტში, ზოგადად, ქართულ გაგებას და მის მენტალურ წარმოსახვას ახასიათებდა.

ქალისა და მამაკაცის მიწიერ ასპექტში ურთიერთობის იგივე თემატიკა განვიხილოთ გრიგოლ რობაქიძესთან, ოღონდ ცოტა განსხვავებული კუთხით. მისი ერთ-ერთი ლექსი „ირუბაქიძის ხასა“ გენიალურად ასახავს ქალისა და მამაკაცის ურთიერთკავშირ(ებ)ს ჩვენს ეროვნულ რეალობაში. სენსუალიზმი, რომელიც ამ ლექსში ვლინდება, ბუნებრივი მახასიათებელია საპირისპირო სქესთა შორის ლტოლვის. გენიალურია ეს კონკრეტული მხატვრული ნიმუში ამგვარი ვნების გადმოცემისას. სცენა, სადაც მამაკაცური ენერგია ხვდება ქალის ენერგიას, მთელი სისავსით და კულმინაციური განცდით გამოითქმება მხატვრულ ენაზე. მას სურს ფიზიკურად დაეუფლოს ქალს. სულით ხორცამდე აღტკინებული კიდეც იპყრობს ქალის ვნებიან სხეულს, მაგრამ რაღაც მომენტში მისი მიწიერი ყოფიერება თითქოსდა ორდება და სულიერი სხეული ენაცვლება ამ დროს. ხილვაც ფართოვდება და შინაგანი მზერით ქალის სულიერ საშოში იღვრება მარადვაჟური მზიური ენერგია. ეს ქართველი კაცის ბუნებისათვის დამახასიათებელი სულიერი მდგომარეობაა, რომლის ძალმოსილებაც იმდენად წმინდაა და ამაღლებული, რომ მისი ჭეშმარიტი ბუნების გამზიანება თავისთავად ხდება მიწიერი ყოფიერების ასპექტში. მიწიერი ქალი უკვე მადონად და ღვთისმშობლად გადაიქცევა. შემოქმედის დანაპირები ამგვარია: „აგამზეურებ როგორც შუბის ტარს ირუბაქიძის...“ კაცი აწმინდანებს ქალს ქართულ რეალობაში. ეს კონკრეტული ლექსი საუკეთესოდ იძლევა ამის დასტურს. ეს გახლავთ რეალობა ქართული სულიერებისა.

და ბოლოს, ჩვენეული ხედვით ერთ მნიშვნელოვან მომენტსაც შევეხებით ვაჟა-ფშაველას „სტუმართ-მასპინძელში“. აღაზას მიერ ზვიადაურის დატირების სცენა სულით ხორცამდე შეძრავს ადამიანის შინაგანი სამყაროს წყობას და სულ სხვა რელსებზე გადააწყობს მას. „ნეტავი იმას, ვინაცა მაგის მკლავზედა წვებოდა, ვისაცა მკერდი აწ კრული, მაგის გულ-მკერდსა სწვდებოდა!“ აღაზამ მოკლული მტერი ქალური ბუნებიდან გამომდინარე დაიტირა. ქალის ფენომენი ბუნებრივად აირეკლავს მამაკაცის ვაჟკაცობას და ამ გასაოცარ რეალობას მთელი სიზუსტით გენიალურად გადმოგვცემს ვაჟა-ფშაველა. ქალი თავისუფალი რჩება მთის მკაცრად დადგენილ ადათ-წესებშიც კი. იგი არავისი კუთვნილება არ გახლავთ და ის, საკუთრივ შინაგანი სულიერი წყობით, არსებობს როგორც თავისთავადობა. უმსგავსო, ვაჟკაცისთვის შეუფერებელი საქციელის გამო, ბრაზმორეულ დიაცს სურს მტრის განადგურება, რათა სიკვდილისგან იხსნას თავისი რჩეული, თუმცა რჯულს ვერ გადადის, ქალად ყოფნის რჯულსა და კანონს. იგივე ძალმოსილებით სიკვდილითვე დათრგუნოს ბოროტება,

აღაზას ქალური ბუნების სისავსე ვერ დაიტევს ამას. სამაგიეროდ, მას შეუძლია გლოვა და მოთქმა, საკუთარი სულისა და გულის მსხვერპლად მიტანა და ამაღლებული იდეის შექმნა საკუთარ წარმოსახვაში. ქალის ფენომენის გენიალური წვდომაა ვაჟა-ფშაველას მიერ დანახული. არაფერია გამოგონილი, ეს რეალობაც ბუნებითად ახასიათებს ქართული ყოფიერების სინამდვილეს. სახლში დაბრუნებულს კი აი, რას ეუბნება ქმარი: „იტირე?- მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა, დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“. „უცხო კაცის მოზარე“ ქალს სულიერ თანადგომასა და სოლიდარობას უცხადებს საკუთარი ქმარი. ეს არის საქართველო და ასეთი პარადიგმები მეტყველებს ქართული ფენომენის ღირებულებებზე, ქართველი ადამიანის მენტალობასა და პიროვნულ ღირსებაზე. მთაში აღზრდილი ჯოყოლა საუკეთესოდ ფლობს ქალის საიდუმლოს. მთაში ქალში განხორციელებული თავისუფლებისმოყვარე უკვდავი სული ხელშეუხებელია. მამაკაცი თავადვე იცავს მის თავისუფლებას. ამ სიტყვებით გამოხატული ჯოყოლას საქციელი ერთგვარი თავისუფალი არჩევანის წინაშეც აყენებს საკუთარ ცოლს, ქალის ბუნებას. ამ სიტყვების მოსმენის შემდგომ აღაზა, ბუნებრივად, ქმრის ერთგული უნდა დარჩეს. ის უკვე ვეღარ გაცვლის ჯოყოლას ზვიადაურში, რადგან მისი „მფლობელი“ ქმარი ზვიადაურზე არანაკლები ვაჟკაცი გამოდგა. ეს მაგალითი საუკეთესო პარადიგმად მიგვაჩნია იმ ტენდენციის გამოსავლენად, რომ ჩვენში ქალი არავისი საკუთრება არ გახლდათ. თავისი ბუნებით ის თავისუფალი არჩევანის წინაშე იდგა მუდამ. ჩვენს ეროვნულ მენტალურ აზროვნებაში ქალი იმისია, ვინც ძლიერია. ეს სიძლიერე კი ყოველთვის კეთილშობილების საზომით იზომებოდა. ქალს მხოლოდ უნდა ფლობდეს საწინააღმდეგო სქესის ადამიანი. მორალი და ზნეობა, ვაჟკაცობასთან ერთად, ის აუცილებელი პრიორიტეტებია ორივე სქესისთვის, რომელსაც სულიერი სიწმინდისაკენ მიჰყავს ადამიანის პიროვნება.

ამდენად, ჩვენ სამი კლასიკოსი მწერლის დახმარებით, სამიოდე მაგალითის კონკრეტიზაციით შევეცადეთ განზოგადებულად გადმოგვეცა სახე ქართული სინამდვილისა, სადაც საუკეთესოდ ვლინდება ქალისა და მამაკაცის დანიშნულება ადამიანის პიროვნული ზრდის კვალობაზე. პიროვნულ ზრდაში, როგორც ამ მაგალითებიდან გამოჩნდა, ქართული მწერლობის დიდაქტიკა უპირობოდ გულისხმობს ადამიანის პიროვნების ზიარებას მიღმა სამყაროსთან, რაც საბოლოოდ არის სულის ხსნა. სოციალურად გათანაბრებულნი თუ სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონენი ამ მიზნის მისაღწევად ერთნაირი თავდადებით იღვწიან ცნობიერად თუ ქვეცნობიერად. ქალისა და მამაკაცის სულიერი პოტენციალები თანაბარია დიად იდეასთან მიმართებისას. ბარბარე ჯორჯაძის ისტორიული პიროვნებაც ამგვარი დიადი იდეისათვის მებრძოლთა ამპლუაში განიხილება. მისი ისტორიული პროფილი, უდავოდ, ავლენს მის შეუპოვარ ხასიათს და სამშობლოსადმი თავდადებული თამამი, გაბედული ქალის როლს, ხოლო მისი შემოქმედებიდან ვხედავთ

ერთ უჩვეულო ფაქტს, ვგულისხმობთ ნოველა „მარიამს“, სადაც ქართველი ქალის სახით მკვლელი ადამიანი წარმოგვიდგება. ულამაზესი მარიამი ჯერ კიდევ უმწიფარ ასაკში ხდება მკვლელი. ის, მართალია, მკვლელობის ამ საშინელ დრამას საერთო მტრის წინააღმდეგ ავითარებს, მაგრამ მკვლელის როლში ყოფნას და შემდგომ მის სულიერ რეაბილიტაციას ისე გრძნობს მწერალი, თითქოსდა არც არაფერი მომხდარიყოს, რადგან ამ ყველაფრის უკან საკუთარი ხალხი და სულზე უტკბესი საქართველო იდგა მის წარმოდგენაში. ჩვენი თვალთახედვით, ეს უჩვეულო მოვლენა თავად მწერლისეული სულის დრამაა. მკვლელობის როლში ყოფნა მარიამს, ქალს სულიერ სრულყოფილებაში არსებობის განცდას უნდა ართმევდეს, სულიერი წესითა და მორალური კანონით. მარიამი კი გამარჯვებულის იმიჯით ამაყად წარსდგება მეფის წინაშე და დედოფლის მანტიასაც ირგებს. თითქოსდა ამ გზით მტერზე ძლევამ, იმან, რომ მარიამმა ამ გზით საკუთარი მოყვასი გადაარჩინა სიკვდილს და უბედურებას, მას სიამაყის განცდა შესძინა. მის მიერ შექმნილმა სახემ მზაკვრობა ისე ოსტატურად მოირგო და შეითვისა, რომ უცხო ტომის კაცი, სამშობლოს ასაოხრებლად მოსული მტერი გაბრუვდა. ამ მომენტების კითხვისას მკითხველს უბრალოდ ისეთი განცდა რჩება, რომ ეს ყოველივე ბარბარე ჯორჯაძის ბავშვური ფანტაზიის ნაყოფია და სხვა არაფერი, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონია რეალობასთან. თუმცა ჩნდება კითხვა, რატომ უნდა გასჩენოდა მას სულში ამგვარი მისწრაფებანი და საიდან უნდა მოეტანა მას მსგავსი ხასიათის გამოვლენის სურვილი? ნუთუ სამშობლოს სიყვარულის უდიდეს განცდას შეეძლო ყოველივე ეს გამოეწვია? ნუთუ საკუთარ ამბიციას მტერზე ძლევაში შეეძლო ის მორალური და ზნეობრივი კანონებიდან ისე გამოეყვანა, რომ თანახმა ყოფილიყო მზაკვარ მკვლელადაც გადაქცეულიყო? იქნებ მისი უბრალო მწერლური ჟინია, რომელსაც ჰქონდა ამბიცია, პატრიოტულ მოტივებზე შეექმნა მხატვრული ლიტერატურა? ყველა შემთხვევაში ამბიციური ფაქტია, ჩვენი თვალით დანახული, რომელსაც მეტისმეტი ვაჟკაცობა და გულოვნობა უდევს საფუძვლად საწინააღმდეგო სქესთა შორის პაექრობაში. იმ მენტალიტეტისთვის, სადაც ქალი წმინდა სიყვარულის იდეას სწირავს საკუთარ პიროვნებას, სადაც ქართველი მამაკაცით მოხიბლული ქალი-ამორძალი ვაჟის მზიურ ენერგიას სვამს ისე, რომ წმინდა მადონად გადაიქცევა, სადაც ქალი საკუთარი გრძნობით ეწირება მტრად მოსულ უცხო ტომის კაცს, ბარბარე ჯორჯაძის მარიამი მკვლელი ხდება საკუთარი მამის ინსპირაციის წყალობით. საინტერესოა, რომ მის წარმოსახვაში ასეთი იდეის ავტორი სწორედ მამაკაცია.

ვფიქრობთ, ქართული მწერლობის დიდაქტიკური ხასიათიდან გამომდინარე, ქართველი ქალი თავისი ბუნებით მკვლელის როლს ვერასდროს შეიფერებს. მსგავსი სულიერი მდგომარეობა უბრალოდ შეუთავსებელია ქართველი ქალის მარადჟამული კანონმდებლობისათვის, იმ სულიერი გზისთვის, რამაც თითოეული ჩვენგანი ჩვენივე ქალურ ამპლუაში ამაღლებულ იდეას უნდა გვაზიაროს. ამ ასპექტშიც, ამ კონკრეტული მისიის აღსრულებისას, ქალური ბუნება მკვლელის როლთან

ვერ დაზავდება, ვერც ქართული მწერლობის დიდაქტიკური ხასიათი შეიწყნარებს მას. ვფიქრობთ, ბარბარე ჯორჯაძე ამ გრძნობის გადმოცემისას საკუთარმა ატავისტურმა განცდამ შეიპყრო და საუკუნეების წიაღში დააბრუნა. ის ნამდვილი ამორძალია, რომლის ფანტაზიაშიც მამაკაცის სიყვარულის განცდამ იმდენად იმძლავრა, რომ მზაკვრობით თავის მოკვეთის სცენა კიდევ ერთხელ გაითამაშა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

გამსახურდია 2011: გამსახურდია კ., დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა. თბილისი, 2011.

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ., წერილები, ესსეები. თბილისი, 1991.

ვაჟა-ფშაველა 1993: ვაჟა-ფშაველა, პოემა „სტუმარ-მასპინძელი“, თხზულებანი, ხუთტომეული, ტომი III. თბილისი, 1993.

რობაქიძე 1988: რობაქიძე გრ., გველის პერანგი, ფალესტრა, ქართული საბჭოთა რომანი. თბილისი, 1988.

ჯორჯაძე 1988: ჯორჯაძე ბ., რჩეული თხზულებები. თბილისი, 1988.